



**მედიაცენტრის დამფუძნებელი ადგილობრივი სადამკვირვებლო  
ორგანიზაციები 2008 წლის 21 მაისის საპარლამენტო არჩევნების  
წინაპერიოდს აფასებენ**

მედიაცენტრის დამფუძნებელი ორგანიზაციები – „ახალი თაობა – ახალი ინიციატივა“, „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“, „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ – დამოუკიდებლად ახორციელებენ 2008 წლის 21 მაისის საპარლამენტო არჩევნების მონიტორინგს. წინასაარჩევნო პერიოდის მონიტორინგის შედეგები დეტალურადაა ასახული მათ შუალედურ ანგარიშებში, რომლებიც ბოლო რამდენიმე კვირის განმავლობაში გამოქვეყნდა. ანგარიშებში ყურადღება გამახვილებულია შემდეგ ძირითად ხარვეზებსა და დარღვევებზე:

**საჯარო მოხელეების აქტიური მონაწილეობა მმართველი პარტიის წინასაარჩევნო კამპანიაში:** ამ მხრივ განსაკუთრებით გუბერნატორები აქტიურობენ. სწორედ მათ მიერ მოხდა მმართველი პარტიის მაჟორიტარი კანდიდატების წარდგენა საზოგადოებისთვის თითქმის ყველა რეგიონში. კანდიდატების მხარდასაჭერი აკტივაცია მათ წარდგენის შემდეგაც აქტიურად განაგრძეს როგორც სამსახურისგან თავისუფალ დროს, ასევე სამსახურებრივი ფუნქციების შესრულების პროცესში, რაც საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობას ეწინააღმდეგება.

**ამომრჩეველთა დაინტერესება მატერიალური ფასეულობების დარიგებითა და დაპირებით:** მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობა კრძალავს წინასაარჩევნო პერიოდში საქართველოს მოქალაქეებისთვის სხვადასხვა სახის მატერიალური ფასეულობების დარიგებასა და დაპირებას, მმართველი პარტიის მაჟორიტარი კანდიდატების მხრიდან მსგავსი ფაქტები ხშირი იყო. ამ ფაქტების ნაწილი მედიაშიც გაშუქდა როგორც მაჟორიტარი კანდიდატების წინასაარჩევნო კამპანიის შემადგენელი ღონისძიებები.

**მმართველი პარტიისა და ხელისუფლების საქმიანობას შორის გამყოფი ხაზის ბუნდოვანება:** 2008 წლის 5 იანვრის რეგარეშე საპრეზიდენტო არჩევნების მსგავსად, 21 მაისის საპარლამენტო არჩევნების წინაპერიოდში საკმაოდ ხშირი იყო შემთხვევები, როცა მმართველი პარტიის კანდიდატების წინასაარჩევნო კამპანია სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტებიდან დაფინანსებული სხვადასხვა სახის პროექტების და სამუშაოების პრეზენტაციებს ერწყმოდა. შედეგად, მედიით ამ ღონისძიებების გაშუქებისას ოფიციალური და საარჩევნო ქრონიკის ერთმანეთისგან გამიჯვნაც მნიშვნელოვნად რთულდებოდა.

**ზეწოლა:** წინასაარჩევნო ფონი დაამძიმა ზეწოლის ფაქტებმა ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან, განსაკუთრებით ბოლო ათი დღის განმავლობაში. ზეწოლა განხორციელდა საჯარო სკოლების მასწავლებლებზე, ოპოზიციური პარტიების

მაჟორიტარ კანდიდატებზე და სხვა წევრებზე, ასევე, ზოგიერთ ბიზნესმენსა და ადგილობრივ დამკვირვებელზე.

**პირადობის დამადასტურებელი მოწმობების ნომრების შეგროვება:** ისევ, საპრეზიდენტო არჩევნებთან შედარებით ნაკლები ინტენსივობით, მაგრამ მაინც განმეორდა პირადობის დამადასტურებელი მოწმობების ნომრების შეგროვების ფაქტები სხვადასხვა მიზეზებითა და მექანიზმებით. ამ ნომრების შეგროვება აღიქმება ამომრჩევლებზე ფსიქოლოგიურ ზეწოლის მცდელობად.

**საარჩევნო ადმინისტრაციის მიმართ ნდობის დაბალი ხარისხი:** ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემა, რომელიც საპარლამენტო არჩევნებს ახლავს თან, საარჩევნო ადმინისტრაციის და ზოგადად, არჩევნების მიმართ საზოგადოების ნდობის სიმცირეა. ეს ნაწილობრივ იმ მიზეზით არის განპირობებული, რომ დღემდე არ დასრულებულა ის გამოძიებები, რომლებიც საპრეზიდენტო არჩევნების დროს გამოვლენილ დარღვევებს ეხებოდა. გარდა ამისა, ვერ მოხერხდა მმართველ და ოპოზიციურ პარტიებს შორის რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხზე კონსენსუსის მიღწევა. ნდობის განმტკიცებაზე უარყოფითად იმოქმედა ცენტრალური საარჩევნო კომისიის არასაკმარისმა გამჭვირვალობამ.

**ზოგიერთი ოპოზიციური პარტიის მხრიდან პროტესტის აგრესიული ფორმების გამოყენება:** წინასაარჩევნო პერიოდში სიტუაცია რამდენჯერმე გამწვავდა იმის გამო, რომ თავიანთი უკმაყოფილების გამოსახატავად ოპოზიციის რამდენიმე წარმომადგენელმა პროტესტის ძალადობრივ ფორმებს მიმართა. მიუხედავად იმისა, რომ ნებისმიერ პირს და ორგანიზაციას აქვს გამოხატვისა და შეკრების კონსტიტუციური უფლება, მნიშვნელოვანია, რომ ამ უფლების რეალიზაციისას ისინი კანონის და ეთიკის ფარგლებს არ გასცდნენ.

მიუხედავად განცხადებაში მოყვანილი შენიშვნებისა და დარღვევებისა, გვსურს, ამომრჩევლებს მოუწოდოთ არჩევნებში მონაწილეობისკენ. მიგვაჩნია, რომ ქვეყანაში არსებობს საკმარისი რესურსი არჩევნების სამართლიანად ჩატარებისთვის. ამისთვის საარჩევნო ადმინისტრაციამ უნდა დაიცვას კანონის ყველა მოთხოვნა და იყოს ღია ყველა სამართლიანი და კანონიერი შენიშვნის და საჩივრის მიღებისა და განხილვისათვის. ასევე, პოლიტიკურმა პარტიებმა, ხელისუფლებამ, სასამართლომ, მედიამ და დამკვირვებლებმა ყველა ღონე უნდა იხმარონ არჩევნების დემოკრატიულად ჩატარების ხელშესაწყობად.

